



**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - მარნეულის  
მუნიციპალიტეტში 100 მგვტ სიმძლავრის მზის სადგურის, 220/35 კვ  
ძაბვის ქვესადგურის და 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი  
ხაზის მშენებლობა-ექსპლუატაცია**

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** 35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „იტეკ მარნეული 100 მგვტ“

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** მარნეულის მუნიციპალიტეტი

**საჯარო განხილვის ორგანიზატორი:** სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

**დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:**

- **2025 წლის 6 ოქტომბერი, 12:00 საათი, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის.: რუსთაველის ქ. N 73)**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის დასკვნის გამცემ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2025 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: [eia@mepa.gov.ge](mailto:eia@mepa.gov.ge) (გთხოვთ, შენიშვნების/მოსაზრებების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ სააგენტოს (დავით აღმაშენებლის გამზ. N150, 0112, თბილისი; ელფოსტა: [eia@mepa.gov.ge](mailto:eia@mepa.gov.ge), ტელ.: +995 32 2439503/+995 32 2439510).



გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **2025 წლის 15 სექტემბერს** საქმიანობის განმახორციელებელმა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა განცხადება სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სააგენტო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომლითაც განისაზღვრება გზშ-ის ანგარიშის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე: <https://ei.gov.ge/>. დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: <https://ei.gov.ge/ka/info/41cfb84d-c3b1-45ce-bced-f13d40b66950>.